# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM



## ძვირფასო მესტიელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი მესტიის მერობის კანდიდატისა და მესტიის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს მესტიის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს მესტია და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# მესტიის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ მესტიის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 6 მლნ იყო, 2021 წლის გეგმის მიხედვით 11,82 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა სულ 8,2 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს გეგმის მიხედვით, გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 10,3 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**მესტიის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (ინვესტიცია 583 565 ლარი, თანამონაწილეობა 350 139 ლარი). **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 22 კოოპერატივი (304 მეპაიე, კაპიტალი 1 212 500 ლარი). პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 700 048 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 210 970 ლარი), რითაც 7-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. 2020 წლიდან მიმდინარეობს 2 ახალი პროგრამა: **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** დღემდე 1 პროექტი განხორციელდა (ინვესტიცია 99 855 ლარი), ხოლო **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით 9** პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 229 395 ლარი, თანადაფინანსება 180 141 ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** მესტიის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 1 საწარმო (ინვესტიცია ჯამურად 295 371 ლარი, დასაქმებულია 34 ადამიანი), პროგრამის **სასტუმროს კომპონენტში,** ხელი შეეწყო 14 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 17 907 000 ლარი, დასაქმებულია 117 ადამიანი, მუნიციპალიტეტს სასტუმროს 325 ახალი ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 2 767 558 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 3 531 374 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 327 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 176, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 151 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

2014-2021 წლებში, **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში,** აშენდა 9 ჰიდროელექტროსადგური (მაქსანია ჰესი, მესტიაჭალა 1 ჰესი, მესტიაჭალა 2 ჰესი, იფარი ჰესი, ხელრა ჰესი, ლახამი 1 ჰესი, ლახამი 2 ჰესი, კასლეთი ჰესი 2, ხელრა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 72 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 296 მილიონი კვტ/ სთ.

**მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰიდროელექტროსადგური:**

- ხობი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 46,70 მგვტ, 63 მლნ აშშ დოლარი;
- ნაკრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 7,50 მგვტ, 9 მლნ აშშ დოლარი;
- ნენსკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 280 მგვტ, 1 მლრდ აშშ დოლარი;
- ჯაღონ-ნამუში ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი;
- ნაცეშარი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,93 მგვტ, 2,6 მლნ აშშ დოლარი;
- დარჩი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16,9 მგვტ, 19,8 მლნ აშშ დოლარი.

### ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:

- ვედი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 24 მგვტ, 19,1 მლნ აშშ დოლარი;
- წირმინდი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 15,6 მგვტ, 13,4 მლნ აშშ დოლარი;
- ლაპლაჭალა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 11,9 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,5 მგვტ, 14 790 000 აშშ დოლარი;
- ხუბერი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,24 მლნ აშშ დოლარი;
- ჭანი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 0,696 მლნ აშშ დოლარი;
- დიზი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 210 მგვტ, 388 მლნ აშშ დოლარი;
- ხუდონი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 702 მგვტ, 776 მლნ აშშ დოლარი;

2019 წელს განხორციელდა მესტიის მუნიციპალიტეტის ორი უშუქო სოფლის – ხალდესა და ჰეშკილის, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით ელექტროგადამცემი ხაზისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები. ჯამში 18 აბონენტს მიეცა ელექტროენერგიის ქსელში ჩართვის საშუალება (500 ათასი ლარი).

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განსავითარებლად,** 2014 წელს მესტიაში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. ჩატარდა 20-მდე სხვადასხვა თემატიკის ტრენინგი განთავსებისა და კვების ობიექტებში დასაქმებულთათვის, გიდებისა და სამთო გამყოლების გადამზადების მიზნით.

**მესტიის მუნიციპალიტეტში განხორციელდა მნიშვნელოვანი ტურისტული პროექტები:** მათ შორის უმნიშვნელოვანესია ზამთრის კურორტი „თეთნულდი“; ასევე ტურისტული საფეხმავლო მარშრუტის მესტია-ეცერი, მესტია-უშგულისა და სხვა არეალების მარკირება; ქვედა ზონა, ეცერი ჭუბერის მონაკვეთის ტურისტული მარშრუტის კვლევა; მოეწყო მრავალი საოჯა-


მესტიის მუნიციპალიტეტში

აქტიურად ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები



41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ხო სასტუმრო; მომზადდა და გამოიცა ბროშურები, რომლებიც ტურისტებს დაეხმარება გზამკვლევად.

მესტიაში განხორციელდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციების მონტაჟი, საინფორმაციო საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ახლომდებარე ტურისტული ადგილების შესახებ; ასევე დამონტაჟდა ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებლები. თეთნულდზე მოეწყო სასურათე ჩარჩო.

**ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად,** უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებულ პირთათვის კონსულტაციების გაწევა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაფინანსების მოსაზიდად. მესტიის მუნიციპალიტეტში დაიგეგმება დამატებითი ახალი მარშრუტები; ხელი შეეწყობა საოჯახო და ადგილობრივი სასტუმროების ქსელისა და მოსახურების განვითარებას.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 53 363,5 კუბური მეტრი ხე-ტყე. ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სპეციალური დანიშნულების ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ხე-ტყის დამზადების ღონისძიებები უზრუნველყოფს ადგილზე სამუშაო ადგილების შექმნას, ბაზარზე ხე-ტყის ხელმისაწვდომობასა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას.

რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლისა და ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

**გარემოს ეროვნული სააგენტო** მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, მესტიის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, მესტიაში **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 24 მლნ ლარამდე დაიხარჯა, აშენდა 24 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 8,230 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში მესტიის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 3 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 708 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, მესტიის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 18 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

- 2014 წელს დასრულდა მესტიის წყალმომარაგების სათავენაგებობის მშენებლობა – 5 541 504.00 ლ;
- 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს დაბა მესტიის წყალმომარაგების ახალი სათავე ნაგებობის პროექტირება-მშენებლობა – 1 425 000.00 ლ;
- მიმდინარეობს მესტიის წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა – 23 817 911 ლ (მიმდინარე პროექტი);
- მიმდინარეობს მესტიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა – 12 872 381.00 ლ.



ეცერის ტერიტორიულ ერთეულში, ცენტრალური გზიდან სოფელ ბარშამდე გზის რეაბილიტაცია

**2021-2022 წლებისთვის მესტიის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:**

- დაბა მესტიის წყალმომარაგების ახალი სათავე ნაგებობის პროექტირება-მშენებლობა – 1 537 070 ლარი;
- დ.მესტიის ქუჩების (15) რეაბილიტაცია – 952 616 ლ;
- დ.მესტიაში ზაარგაშის ქუჩის რეაბილიტაცია – პროექტის ღირებულება 705 902,00 ლ;
- დ.მესტიაში რ. ნაკანის ქუჩის (აეროპორტის მიმდებარედ) რეაბილიტაცია – პროექტის ღირებულება 971 266,00 ლ;
- მულახის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. მაჯვდიერიდან სოფ ჟაბეშამდე გზის მშენებლობა – 1 071 316,00 ლ;
- ცხუმარის ტერიტორიულ ერთეულში მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობა – 1 526 316,00 ლ.




ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზა

# კაპიტონ ჟორჟოლიანი: „ჩემი მიზანი რაიმე თანამდებობის დაკავება კი არა, სვანეთის განვითარებაა!“

**უკვე რამდენიმე წელია მესტიასა და მესტიელებს ემსახურება. როგორც თავად ამბობს – თავდაუზოგავად და გულით! მუნიციპალიტეტში ბევრი რამ გააკეთა და ბევრის გაკეთებასაც გეგმავს. ამბობს, რომ არჩევნებში კიდევ ერთხელ მონაწილეობა სწორედ ამ მიზეზით გადაწყვიტა – დაწყებული და დაგეგმილი პროექტები ბოლომდე უნდა მიიყვანოს.**
**გული მხოლოდ იმაზე სწყდება, რომ ოჯახისთვის ნაკლებად იცლის. მიუხედავად ამისა, არც მეუღლე – ნინა ხატისკაცი საყვედურობს და არც შვილები: 11 წლის კატო და 8 წლის გიორგი. პირიქით, ამხნევებენ და მხარდაჭერას უცხადებენ.**
**„სვანეთი მიყვარს და მას არასდროს მივატოვებ. მის გარეშე უბრალოდ ვერ გავძლებ!“ – აცხადებს მესტიის მერობის კანდიდატი.**
**კაპიტონ ჟორჟოლიანი გვიამბობს, რატომ არის დღემდე „ქართული ოცნების“ ერთგული, რა გააკეთა მერის პოზიციიდან მუნიციპალიტეტისთვის და რა გეგმები აქვს სამომავლოდ საყვარელ მესტიასთან დაკავშირებით:**



დაიბადა 1977 წლის 11 იანვარს.

1982-1993 წლებში სწავლობდა მესტიის №1 საშუალო სკოლაში; 1993-1998 წლებში – თბილისის შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტში, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის განხრით;

1998-1999 წლებში იყო მესტიის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მენეჯერი, 1999-2000 წლებში – გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების სპეციალისტი; 1999-2000 წლებში გახლდათ მესტიის რაიონის №47 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი; 2000– 2002 წლებში იყო მესტიის №47 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; 2000-2005 წლებში – მესტიის რაიონის გამგეობის საორგანიზაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი; 2002-2006 წლებში – მესტიის №47 საოლქო – საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, 2006-2010 წლებში – კომისიის წევრი;

2007-2010 წლებში იყო ს/ს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ ზუგდიდის ფილიალის, მესტიის სერვისცენტრის სესხების ოფიცერი; 2011-2012 წლებში ჰქონდა ი/მ „კაპიტონ ჟორჟოლიანი“ მიწის აზომვითი ნახაზები; 2012-2013 წლებში იყო მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი; 2013-2017 წლებში - მესტიის მუნიციპალიტეტის არჩეული გამგებელი, 2017 წლიდან დღემდე არის მესტიის მუნიციპალიტეტის არჩეული მერი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**– ბატონო კაპიტონ, თქენი აზრით, გუნდმა ნდობა ამჯერადაც თქვენ რატომ გამოგიცხადათ?**

– „ქართული ოცნება“ გუნდური მოთამაშეა. აქ აზრთა სხვადასხვაობა, ჯანსაღი დისკუსია და კამათი ხშირია, მაგრამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, ყოველთვის ვჯერდებით. ნდობაც ალბათ იმის გამო გამომიცხადა, რომ გუნდური მოთამაშე, საქმის ერთგული ვარ და ჩემი მუნიციპალიტეტის განვითარებაში წვლილის შესატანად თავს არ ვზოგავ.

**– „ქართული ოცნების“ ერთგული დღემდე რატომ ხართ?**

– მთაში გაზრდილი, მთის შვილი ვარ. მთას, მითუმეტეს სვანეთს, არ უყვარს ბრძოლის ველის მიტოვება და გეზის შეცვლა. ვგრძნობ, „ქართული ოცნებაა“ სწორედ ის ერთადერთი გუნდი, რომელსაც ქვეყანა განვითარებისა და წარმატებისკენ მიჰყავს. ეს იმიტომ, რომ ის ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ადამიანებით არის დაკომპლექტებული. ამ პარტიას, წლების განმავლობაში, არც პრინციპებისთვის უღალატია, არც გეზი უცვლია და არც ჩემთვის გაუცრუებია იმედი. ნეტა ყველას ჰქონდეს საქმის კეთების ისეთი მოტივაცია და შეეძლოს კიდეც, როგორც „ქართულ ოცნებას“. სამწუხაროდ, დღეს ბევრი ცდილობს, მმართველ გუნდს საქმის კეთებაში ხელი შეუშალოს. ისტორიას არ ახსოვს პერიოდი, მხოლოდ ერთი პარტია ცდილობდეს ქვეყანა წინ წაიყვანოს და სხვა ყველა ხელს უშლიდეს. ამ ფონზე, საქმის კეთებას რომ ახერხებ, უდიდესი წარმატებაა. ქვეყნის სიყვარულს თანამდებობა და სკამი კი არა, საქმის კეთება სჭირდება. ჯერ კიდევ 2010 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიციური პარტიიდან კენჭი ვიყარე და ღირსეულ ოპონენტთან – მმართველი პარტიის კანდიდატთან დავმარცხდი. მეორე დღეს ჩვენ ბრიფინგზე ერთად ვისხედით, რითაც ვაღიარე ღირსეული დამარცხება ღირსეულ კანდიდატთან. ალბათ ბევრს გაუკვირდა ეს, მაგრამ ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა რაიმე თანამდებობის დაკავება, ჩემთვის მთავარია, სვანეთისთვის სასიკეთო საქმე გაკეთდეს. ქართულ პოლიტიკაში კი დღეს როგორი სიტუაციაა: იმაზე კი არ არის მსჯელობა და კამათი, რომელი კანონი როგორ შეიცვალოს, თვითმმართველობაში რა გაკეთდეს უკეთ, სოციალური დახმარებები უფრო ეფექტურად როგორ გამოვიყენოთ, რომ მეტი მოწყვლადი ჯგუფი მოვიცვათ, არამედ ისეთ უსარგებლო საკითხებზე, რომელიც მხოლოდ მმართველი პარტიის დისკრედიტაციას ემსახურება. ოპოზიცია მხოლოდ საკუთარი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა მოქმედებდეს, იმაზეც უნდა მსჯელობდეს, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა. „ქართული ოცნების“ საფიქრალი სწორედ ის არის, რა უნდა ვაკეთოთ ქვეყნის წინსვლისთვის და ამიტომაც ვარ დღემდე ამ გუნდის წევრი.

**– თქვენ რა გააკეთეთ მესტიის წინსვლისთვის უკანასკნელ წლებში?**

– მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში, სხვადასხვა, არამენეჯერულ თანამდებობაზე 2007 წლამდეც ვმუშაობდი. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდგომ, თავიდან გამგებლად დავინიშნე. შემდეგ კი, ჩვენივე გუნდის მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ეს თანამდებობა არჩევითი გახდა და ორჯერ არჩევნების გზით მოვედი ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში, ჯერ გამგებლად, შემდეგ კი – მერად. 2012 წელს გამგებლად რომ დავინიშნე, მესტიის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსავლებით, იყო 600 ათასი ლარი, წელს კი უკვე 11,5 მილიონი ლარია და წლის ბოლოსთვის შესრულებული ბიუჯეტი 2012 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 17-ჯერ გაზრდილი გვექნება სწორედ ამან შეგვაძლებინა უამრავი ახალი ინიციატივისა და პროექტის განხორციელება.

**– ბიუჯეტის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა რის ხარჯზე მოხდა?**

– ძირითადად, ეს ზრდა ბიზნესის განვითარებისა და მცირე ჰესების მშენებლობის ხარჯზე მოხდა. ჰესების მშენებლობას გარკვეული ჯგუფები, რომელთაც ეკონომიკის განვითარების განსხვავებული ხედვა აქვთ, ეწინააღმდეგებიან, თუმცა ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ თუ ფინანსურად არ ვიქნე-



ბით დამოუკიდებლები და ძლიერები, თუ ჩვენივე რესურსის სწორად გამოყენებას არ დავიწყებთ, სხვის ხელებში შემყურე თუ ვიქნებით, ქვეყანა, მათ შორის ჩვენი კუთხეც, ვერ განვითარდება. არც ისე დიდი ხის წინ სტიქია დაგვატყდა თავს. საბედნიეროდ, არ იყო ძალიან დიდი მასშტაბის. საკუთარი ხარჯებით მოვაგვარეთ შექმნილი პრობლემები, ცენტრალური ხელისუფლების დახმარება არ დაგვჭირდა. ძალიან კარგია, როცა გაქვს საშუალება, გადაწყვეტილებები თავად მიიღო და ფინანსურადაც დამოუკიდებელი იყო. ამ დამოუკიდებლობას კი, სწორი ნაბიჯების გადადგმით მივაღწიეთ. ბიზნესს ხელი შევუწყეთ, მაგრამ გარკვეული პირობებიც დავუწესეთ. მიწა, გარკვეული ვადით, იჯარით გავეცით და ბიუჯეტშიც შემოდის ფული. გაზრდილი ბიუჯეტი სხვადასხვა პროგრამებზე მივმართეთ. მაგალითად, პირველკურსელების დაფინანსება დავიწყეთ. განათლება ჩვენთვის პრიორიტეტია. მხოლოდ განათლებული თაობა შექმნის ქვეყნის ნათელ მომავალს. დავიწყეთ სახლების გადახურვაც. ბოლო სამი წლის განმავლობაში 1000-მდე ოჯახს დავეხმარეთ გადახურვაში. სოციალური მიმართულებაც ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის, იაპონიისა და ბელორუსის საელჩოს დახმარებით, შენობა ავაშენეთ, სადაც 18 წლამდე ბავშვებისთვის სპეციალური პროგრამა ხორციელდება. სხვადასხვა პროგრამებით, ვეხმარებით ასაკოვან შშმ პირებსაც. გავაორმაგეთ სამედიცინო მიმართულების პროგრამები და ადგილობრივებს, ოპერაციების თანხის ნაწილს ვუფინანსებთ. ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა არის „მთის კანონი“, რომლის ამოქმედების მერეც, მესტიაში, მოქალაქეებმა არაერთი აქტივობა დაგეგმეს. სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეღავათით ისარგებლეს და გახსნეს მინისაწარმოები. ჩვენთან არის, რძის, ხე-ტყის წარმოებები. გაიხსნა არაერთი საოჯახო სასტუმრო. გამგებელი რომ გავხდი, მესტიაში 34 სასტუმრო იყო, დღეს მათი რაოდენობა 900-ს აჭარბებს.

**– ეს იმის ნიშანია, რომ პანდემიის მიუხედავად, სვანეთში ტურიზმი ვითარდება?**

– დიახ. ტურიზმი პანდემიამ მსოფლიო მასშტაბით შეაფერხა და ჩვენ თანამოქალაქეებსაც შეუქმნა გარკვეული პრობლემები, მაგრამ მესტიაში საოჯახო სასტუმროების მშენებლობის პროცესი არ შეჩერებულა. ტურიზმი სვანეთში გეომეტრიული პროგრესიით ვითარდება და ამ ფონზე, აუცილებელია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ამ კანონის მიღების ყველაზე დიდი სიკეთე ის არის, რომ შეიქმნა სასურველი გარემო და ადამიანებს სვანეთში დაბრუნების სურვილი გაუჩნდათ.

**– მესტიაში ბევრი ადგილობრივი დაბრუნდა და მათ შორის ახალგაზრდებიც თუ არიან?**

– დიახ, უკვე 2-3 წელია, ინტენსიურად უბრუნდება ხალხი მამაპაპისეულ სახლებს სვანეთში. 144 ოჯახია დაბრუნებული, მათ შორის არიან ახალგაზრდა წყვილებიც, პატარა ბავშვებით. ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ახალგაზრდებს მაქსიმალურად უნდა შევუქმნათ ისეთი გარემო, რომ სვანეთის მიტოვებაზე აღარც იფიქრონ. მათთან მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს და ამას ელექტრონულმა ტექნოლოგიებმაც შეუწყო ხელი. მართალია, ჩვენთან ჯერ ყველგან არ შემოდის ინტერნეტი ოპტიკურ ბოიჭკოვანი ხაზით, მაგრამ ვახერხებთ, რომ კონკრეტულ ადგილებში ახალგაზრდებს ინტერნეტთან წვდომა ჰქონდეთ. მუნიციპალიტეტის მასშტაბით უკვე მეხუთე სპორტდარბაზს ვაშენებთ, სადაც ახალგაზრდებისთვის სივრცეც არის გაკეთებული. ავაშენეთ სპორტული მოედნებიც და თქვენ წარმოიდგინეთ, საფეხბურთო კლუბიც გამოჩნდა უკვე, რომელიც ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს და სახელიც შეურჩიეს – ახალგაზრდული კლუბი „მესტია“. სამომავლოდ, ვფიქრობთ, სწავლა დავუფინანსოთ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ, სვანეთისთვის საჭირო პროფესიებს დაეუფლონ. მათ ხელშეკრულებაში ჩავუწერთ, რომ სწავლის დასრულების შემდეგ უნდა დაუბრუნდნენ საკუთარ მხარეს და საკუთარი ცოდნა მესტიას მოახმარონ.

**– მესტიასთან დაკავშირებით კიდევ რა გეგმები გაქვთ?**

– არჩევნებში მონაწილეობა კიდევ ერთხელ იმიტომ გადავწყვიტე, რომ დაწყებული თუ ჩაფიქრებული პროექტები განვახორციელო. ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს – გზის, წყლისა და წყალარინების საკითხი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში უნდა მოგვარდეს. ასევე, ძალიან მინდა, მოვახერხო და სოფლებში მუნიციპალურმა ტრანსპორტმა იაროს. ჩვენი ბუნება, მთა, გვაძლევს ზამთრის კურორტების განვითარების საშუალებას, რაშიც ძალიან გვეხმარება ეკონომიკის სამინისტრო. მუდმივად უნდა განვვითარდეთ, განახლებაც მუდმივად იქნება საჭირო, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა მოვახერხოთ – ჩვენი ბუნება, მთა, ტრადიციები და ავთენტურობა უნდა შევინარჩუნოთ. ურბანულ განვითარებას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. სვანეთში ძალიან მასშტაბური შენობები არ უნდა აშენდეს. ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მინდა სვანეთის ქედი დაცულ ტერიტორიად გამოცხადდეს. ეს უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ ჩვენი ისტორიული მახსოვრობა და ბუნებრივი რესურსები არ განადგურდეს.



**– ბიზნესის განვითარებაზე აქცენტი არაერთხელ გააკეთეთ. თქვენი ოჯახი ბიზნესით ბოლო სამი ხელისუფლების პირობებში იყო დაკავებული. დღეს როგორი ბიზნესგარემოა ქვეყანაში?**

– ჩემი ოჯახის წევრები ბიზნესსაქმიანობით წლების განმავლობაში არიან დაკავებული. მესტიაში პირველი მაღაზია და პირველი საოჯახო სასტუმროც ჩვენ გავხსენით. აქ კარგად იცნობენ ჩემს ოჯახს – დედას, მაყვალა ნაკანს და მამას, ვალიკო ჟორჟოლიანს. მამა მესაათეც იყო, ოქრომჭედელიც, ტრაქტორისტიც და მაღაზიის გამგეც. როდესაც პირველი მაღაზია გავხსენით, ბნელი 90-იანები იყო. ეს მაშინ ნათელი წერტილი იყო მესტიაში. მახსოვს, მამამ პროდუქტი ვერტმფრენით ჩამოიტანა სვანეთში. შემდეგ ვითარება შეიცვალა, ტურიზმი განვითარდა და საოჯახო სასტუმროც გავხსენით, თუმცა თავიდან აქცენტი მხოლოდ ტურიზმზე არ გვქონია, სტუმრებს უსასყიდლოდაც ვიღებდით. ბიზნესი ნელ-ნელა განვავითარეთ. იყო რთული პერიოდიც, როდესაც ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების პოლიტიკური შეხედულებების გამო, ჩვენზე ყოფილი ხელისუფლების ზეწოლა და დევნა დაიწყო. საგადასახადო სამსახური უცებ შემოვარდებოდა ხოლმე და უსამართლოდ გვექცეოდა, გვინგრევდა შეკოწიწებულ საქმეს. საბედნიეროდ, ამ გამოწვევებს გავუძელით და დღეს, ბიზნესის წარმოება ძალიან მარტივად შეიძლება, შიშში ცხოვრება აღარ უწევთ ადგილობრივ მეწარმეებს. მუშაობს არაერთი პროგრამა, რომელიც მცირე ბიზნესის დაწყების საშუალებას გაძლევს. მაგალითად, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ჩვენმა მოსახლეობამ საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენა, მიიღეს გრანტი, რაც ნიშნავს, რომ ადამიანებმა დაიწყეს ფიქრი, როგორ განვითარდნენ. ეს არის მომავალში სვანეთის წარმატების საწინდარი.

**– ბატონო კაპიტონ, 2 ოქტომბერს, მესტიაში როგორ არჩევნებს ელოდებით და ფიქრობთ, ამომრჩეველი მხარს ისევ თქვენ დაგიჭერთ?**

– დაძაბული პოლიტიკური ფონის მიუხედავად, სვანეთში დაპირისპირებებსა და ინციდენტებს არ ველი. არ არის ეს მთის წესი. მთა და მითუმეტეს სვანეთი, დიდად აფასებს თავისუფლებასა და დემოკრატიულ პრინციპებს. შესაბამისად, ველი დემოკრატიულ, მშვიდ არჩევნებს. რასაც ვაკეთებთ, ამაში, მთელი ძალა, ღონე და გული გვაქვს ჩადებული. ჩვენი მოსახლეობა კარგად ხედავს, რა გაკეთდა, რა კეთდება და ისიც იცის, სამომავლოდ რა გეგმები გვაქვს. ამის მიზეზი ისაა, რომ მათ გარეშე არც პროექტებს ვახორციელებთ და არც ვგეგმავთ. ისინი, თავისი მუნიციპალიტეტის მართვასა და განვითარებაში აქტიურად არიან ჩართულები. მათ იციან, რომ არასდროს ვატყუებთ და არც წინასაარჩევნოდ, ხმების მოსაპოვებლად ვაძლევთ ცრუ დაპირებებს. მათ ჩვენი იმედი აქვთ და დარწმუნებული ვარ, 2 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, სვანები ღირსეულ არჩევანს გააკეთებენ!



ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. **2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, მესტიის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 11 171 371 ლარი, დაფინანსდა 19 352 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (306 663,2 ლარით 26 233 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (950 305 ლარით 10 609 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (6 422 375 ლარით 5034 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (2 223 244 ლარით 1 767 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (637 406 ლარით 1067 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (426 949 ლარით 647 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, (ივლისის მონაცემებით), პროგრამით **მესტიის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 610 ბენეფიციარი (31 086 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. მესტიაში იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 85,2 % შეადგენდა. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **მესტიაში,** სტაციონარული მკურნალობით 56 (133 603 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 462-მა პაციენტმა (53 886 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 1 548 ორსული (79 717 ლარი). მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 331.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **მესტიის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 687 პირი (148 557 ლ).

2012 წლის შემდეგ, **მესტიის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. მესტიაში, 2013-2021 წლებში, სულ 198 შემთხვევა 403 733 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **მესტიის მუნიციპალიტეტს 44 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2021 წლის ბიუჯეტით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 68,5 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 45,5 ათასი ლარი იყო.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **მესტიის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო პენსიის მიმღებია** (2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით) 2031 პირი. 2012 წლის შემდეგ 2,1-ჯერ – 2 663 573-დან 5 607 847 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წ.წ. სულ 36 124 525 ლარი დაიხარჯა. სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. მესტიაში სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 75 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,1-ჯერ – 78 990-დან 321 702 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1 960 444 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. მესტიის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 699 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 4,5-ჯერ – 1 048 ათასიდან 4 768 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 26 574 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 6 820 ათასი, შშმ პირებზე – 1 253 ათასი, ბავშვებზე – 9 182 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – მესტიაში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 504 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,6-ჯერ – 154 899-დან 861 634 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 5 811 359 ლარი.

**მესტიის მუნიციპალიტეტში 462 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 275 268-დან 276 300 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 515 619 ლარი. **დევნილებზე**



კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი

ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **მესტიის მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 37 ოჯახი, მათ შორის:** პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 26 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 11 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **მესტიაში,** დაფინანსებულია 209 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 102 050 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 136 650 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **მესტიის მუნიციპალიტეტზე** – 581 355 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს – მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 57 ოჯახი, 2021 წელს – 61. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მესტიაში, 2020 წელს, ისარგებლა 289 ოჯახმა, 2021 წ. – 313-მა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებიც და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 130 პირი, 2021 წ. – 136 (ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 210,0 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 122,8 ათასი ლარი იყო.

**მესტიაში, 2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში განხორციელდა/ხორციელდება 5 მუნიციპალური პროგრამა:** მესტიის მუნიციპალიტეტის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, მარჩენალდაკარგულთა სოციალური დაცვა, სოციალურად დაუცველ მძიმე კატეგორიის ავადმყოფთა და სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარება, ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა და სტიქიით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება.

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, მესტიის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა/მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** დაბა მესტია, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მესტიის ოფისის მშენებლობა (161 545 ლ) და კ.ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი, შშმ პირთათვის სარეაბილიტაციო ცენტრის მშნებელობა (121 547 ლ), ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: ნაკრა (100 000 ლ), ეცერი (100 000 ლ), ლენჯერი (100 000 ლ); ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: ლატალი (13 006 ლ), ხაიში (26 322 ლ), ქუბერი (20 591 ლ), კალა (9 267 ლ), უშგული (18 860 ლ), მულახი (1 394 ლ).

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



დაბა მესტიის №1 საჯარო სკოლა

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

### სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** მესტიაში ფუნქციონირებს 24 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 – დაბა მესტიაში, ხოლო 22 – სოფლად.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა მესტიაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1 მლნ 320 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 298,4 ათასი ლარი იყო.

**2013 წელს** სოფელ წვირმში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, რაზეც 660 ათასი ლარი დაიხარჯა. დაბა მესტიაში №1 საბავშვო ბაგა-ბაღის კეთილმოწყობას 27,5 ათასი ლარი მოხმარდა. **2014 წელს** დაბა მესტიის №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 113 ათასი ლარით დაფინანსდა. **2015 წელს** სოფ. ცხუმარის, იდლიანის, ხაიშის, მულახის, მაზერის, ნაკრის, ქუბერის, ფარის, ყარ-სგურიშის, ლახამის, ეცერის, ლენჯერის, ლატალის, უშგულის, იფარის, ბეჩოს საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 591,9 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016 წელს** დასრულდა: ნაკრის საბავშვო ბაღების მშენებლობა (300,5 ათასი ლარი); ყარ-სგურიშის საბავშო ბაღის მშენებლობა (300,5 ათასი ლარი). **2017 წელს** ახალი საბავშვო ბაღები **აშენდა** სოფელ ლენჯერსა (300, 3 ათასი ლარი) და ფარში (300,3 ათასი ლარი); განხორციელდა იდლიანის (369,2 ათასი ლარი), ხაიშისა (317.1 ათასი ლარი) და ეცერის (336 ათასი ლარი) საბავშო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროექტები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა). **2018 წელს** განხორციელდა მუნიციპალიტეტის 7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. **2019 წელს** დასრულდა ლატალის საბავშვო ბაღის მშენებლობა (360 ათასი ლარი). ამჟამად **მიმდინარეობს** ცხუმარის საბავშვო ბაღის მშენებლობა, რაზეც 477,8 ათასი ლარი დაიხარჯება. პროექტი 2018 წელს მაღალმთიანი დასახლებების ფონდის დაფინანსებით დაიწყო.

**2020-2021 წლებში,** ქუბერის თემის სოფ. ლახამში, ქუბერის თემის ცენტრსა და სოფ. მულახში განხორციელდა, 50 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღის შენობის პროექტირება/მშენებლობა (ჯამში 2 მლნ 357,1 ათასი ლარი); დასრულდა ბეჩოს თემის სოფელ მაზერში, მულახის თემის სოფ. ჭოლაშსა და დაბა მესტიის ყოფ. №2 საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე, 50 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღის შენობის პროექტირება/მშენებლობა (2 მლნ 410 ათასი ლარი).

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 393-დან 509-მდე გაიზარდა. 0,71-დან 3,5 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების **კვების რაციონი. სასკოლო მზაობის** პროგრამა დანერგილია სკოლამდელი დაწესებულებების შერეულ ჯგუფებში. ასევე შექმნილია 3 სასკოლო მზაობის ჯგუფი. სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართულია სასკოლო ასაკის 84 ბავშვი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 42 აღმზრდელი და 38 აღმზრდელის თანაშემწე (მათგან 3 – სასკოლო მზაობის ჯგუფებში.) 2 მუსიკის პედაგოგი და ერთი – მეტყველების პედაგოგი. საბავშვო ბაღებს დაბა მესტიაში 3 მედდა და ერთი ფსიქოლოგი ემსახურება.

### ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საჯარო სკოლა, სადაც 1438 მოსწავლე და 381 მასწავლებელია.** მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 16 სსსმ მოსწავლე. სკოლებს არ ჰყავთ მანდატურები. სკოლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 3 სკოლაში.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში განათლებისა და**

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის:** პროგრამაში **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, 134 მოსწავლე იყო ჩართული. 2017-2020 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 81 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, ფინანსურად ხელი 158 სასკოლო აქტივობის განხორცელებას შეეწყო. **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით**, 2019 წელს, 2 საჯარო სკოლას 7 კომპიუტერი გადაეცა. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით, 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, 1775 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** საჯარო სკოლების უზრუნველყოფის 50 პროექტი განხორციელდა. 2021 წლისთვის, **„ახალი სკოლის“ მოდელში** მუნიციპალიტეტის 13 საჯარო სკოლაა ჩართული. 2016-2019 წლებში, მესტიის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 14 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამაში 19 საჯარო სკოლის (48 მიმართულება) 628 მოსწავლეა ჩართული. 2017-2020 წლებში, მესტიის საჯარო სკოლებს, ჯამში, 846 **სასკოლო ჟურნალი და** 38645 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს 837 კომპიუტერი გადაეცათ, 116 კლასის დამრიგებლებს **„წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების“** პროგრამით, ლეპტოპები გადაეცა 130 წარჩინებულ მოსწავლეს. იმავე პერიოდში მესტიის საჯარო სკოლებში, ჯამში, 67 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში,** მესტიის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 19 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 12, ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია 2 საჯარო სკოლა. მათ შორის:

**2013 წელს** განხორციელდა 7 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც სულ 360 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 2 სკოლაში, რაც სულ 132,6 ათასი ლარით დაფინანსდა; **2015 წელს** – 6 საჯარო სკოლაში (სულ 245,3 ათასი ლარი); **2016 წელს** განხორციელდა დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (6,4 ათასი ლარი) და დაიწყო სსიპ პროფესიული სასწავლებლის „თეთნულდი“ საერთო საცხოვრებლის მშენებლობა (2 მილიონ 91 ათასი ლარი).

**2017 წელს** განხორციელდა: 4 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები; პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, წვირმის მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა, **დაფინანსდა** იფარის სკოლის გამაგრება/რეაბილიტაცია (35,3 ათასი ლარი).

**2018 წელს** განხორციელდა დ. მესტიის №3 საჯარო სკოლის სარემონტო და №2 საჯარო სკოლის სველი წერტილის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (42 ათასი ლარი); ინვენტარით აღიჭურვა მესტიის №2 და ბეჩოს სკოლები. **დაფინანსდა:** დაბა მესტიის №1 სკოლის სველი წერტილების და ელექტროგაყვანილობის რეაბილიტაცია, სახანძრო უსაფრთხოების მოწყობა (162,2 ათასი ლარი).

სკოლების სახელმწიფო პროგრამით, **2019 წელს,** განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაცია კალის, მულახის, ლენჯერის, ლატალის და ფარის თემებში, რასაც, ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამში, 300,1 ათასი ლარი მოხმარდა. **2020 წელს –** მესტიის საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობის 7 პროექტზე 451 ათასი ლარი დაიხარჯა. **აშენდა** წვირმის ახალი საჯარო სკოლა (1 მლნ 298,6 ათასი ლარი); **დასრულდა** ილარიონ ქართველის სახელობის სკოლა-გიმნაზიის რემონტი (43,8 ათასი ლარი).

**მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს:** სოფელ ყარ-სგურიშის (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) 150 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (2 მლნ 198,3 ათასი ლარი), სოფელ ჭუბერში (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) 150 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა – (2 მლნ 158,8 ათასი ლარი); სოფელ ბეჩოს საჯარო სკოლის მშენებლობა (2 მლნ 416,3 ათასი ლარი).

## პროფესიული განათლება

**მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარეობს სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“, რომელსაც** ავტორიზაციის ფარგლებში 250-მდე სტუდენტის მიღება შეუძლია. 2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი. 2020 წელს ინტეგრირებულ პროგრამაზე 7 სტუდენტი ჩაირიცხა. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამით, 2016 წელს კოლეჯმა განახორციელა სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადება მოკლევადიანი პროგრამები: ინფორმაციული ტექნოლოგი, ბუღალტერი და მზარეული, სულ გადამზადდა 36 ბენეფიციარი.

კოლეჯში 2020-2021 სასწავლო წლიდან 12 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება – 11 – მოდულური და 1 – დუალური. 2021 წლის მიღების ფარგლებში, კოლეჯი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს 12 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას.

2016 წელს კოლეჯი ჩაერთო **გაეროს განვითარების პროგრამაში,** რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ელექტრიკოსისა და მიღება-განთავსების პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა. შეიქმნა მობილური საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ატარებს ტრენინგებს სასტუმრო სახლების მენეჯერებისთვის. კოლეჯი გახდა **„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს“** პროექტის – „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ საგრანტო პროგრამის გამარჯვებული – ხორციელდება პროექტი **„ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების ერთიანი მოდელის დანერგვა საქართველოს რეგიონებში და მათ ბაზაზე საერთაშორისო სერთიფიცირებული პროგრამების დაფუძნება“.** კოლეჯის მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული შესაძლებლობების განვითარების ტრენინგებში. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კოლეჯის მასწავლებლები გადამზადდნენ სხვადასხვა მიმართულებით.

კოლეჯში მოეწყო სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია „ფაბლაბი“. კოლეჯი აღიჭურვა მოდულური სწავლებისთვის.

2021 წლის მდგომარეობით, მესტიის მუნიციპალიტეტში, ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების 7 პროგრამა ხელმისაწვდომია 2 დაწესებულებაში.

**2013-2020 წლებში** სახელმწიფოს მიერ კოლეჯის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ, საერთო ჯამში, 3 მლნ 799,3 ლარი შეადგინა. **2018 წელს** დასრულდა კოლეჯის საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. იმავე წელს **დაფინანსდა:** კოლეჯის აღჭურვა (მოდულური პროგრამის განხორციელებისა და შესაბამისი აღჭურვილობის მიზნით) – 53,2 ათასი ლარი; წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და საკანალიზაციო სისტემაზე დაერთების პროექტი (1,9 ათასი ლარი) და კანალიზაციის რეაბილიტაცია – 84 ათასი ლარი. **2019 წელს** კოლეჯს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა, რაზეც 81 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2017-2020 წლებში,** მესტიის საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით 10 პროექტი განხორციელდა. მესტიაში 2019 წელს აშენდა სარეაბილიტაციო ცენტრი – კოლეჯში დასაქმებულნი არიან შშმ პირები და შეასწავლიან სხვადასხვა პროფესიებს – რეწვას, თექას, ჭრა-კერვას და სხვ. 2014-2020 წლებში, მესტიის მუნიციპალიტეტში, საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების კურსები 43-მა პირმა გაიარა.

## უმაღლესი განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **სოციალური პროგრამით**, 2013-2016 წლებში, მესტიიდან დაფინანსება მოიპოვა 48 სტუდენტმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ პროგრამის ფარგლებში, 2018-2021 წლებში, ყოველ სასწავლო წელს, 8-8 სტუდენტი დაფინანსდა.

**მესტიის მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროექტს „მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტთა თანადაფინანსება“,** რომლის ფარგლებშიც, 1000 ლარით ფინანსდება ყველა პირველკურსელი. 2013-2017 წლებში პროექტის ფარგლებში სულ 276 სტუდენტი დაფინანსდა. ამ მიზნით, 2014 წლიდან დღემდე, ყოველწლიურად 70 ათასი ლარია დახარჯული.

## „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება მესტიაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის: დაგეგმილია ლატალისა და მაზერის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია; სკოლების სახელმწიფო პროგრამით, განხორციელდება მესტიის №1 საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია – 100 ათასი ლარი; მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება: 150 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობა სოფელ ყარსგურიში – 2 მლნ 198,3 ათასი ლარი. ახალი სკოლების მშენებლობა დასრულდება სოფელ ჭუბერსა (2 მლნ 198,3 ათასი ლარი) და ბეჩოში (2 მლნ 416,3 ათასი ლარი);
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური, ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“, ბენდი „ლილეო“, ანსამბლები: „ლატალი“, „ქალთიდი“, „უშბა“, „ფარი“, ქორეოგრაფიული ანსამბლები „ბანგურიანი“ და „ლილეო“, ქუბერის ბავშვთა ანსამბლი „ნენსკრა“, ფილფანების საგვარეულო ანსამბლი, ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა, მესტიის საბავშვო ბიბლიოთეკა, 13 სასოფლო ბიბლიოთეკა (მაზერი, ლახამულა, ნაკრა, ეცერი, ცხუმარი, ბეჩო, ლატალი, ლენჯერი, იელი, ადიში, ჭოლაში, ჩვაბიანი, ფარი), ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო „ხელოვნების სკოლა“, ა(ა)იპ ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრი, ა(ა)იპ „მხატვარი ძმების – ირაკლი, მარატ და გოვენ ფარჯიანების მემორიალური სახლ-მუზეუმი“, აგრეთვე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალი სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. კულტურის და ხელოვნების ცენტრთან არსებული სახელოვნებო სკოლა; სოფელ ლატალის, ბეჩოს, ეცერის, ფარის, ცხუმარის, ნაკრას, ქუბერის კულტურის სახლები.

**2013 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 730 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 224,9 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში**. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდება შეხვედრები, დისკუსიები, ლიტერატურული კონკურსები და ახალი წიგნების პრეზენტაციები, იმართება ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები, ტარდებოდა კონცერტები და მასტერკლასები მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის. 2015 წლიდან დღემდე ყოველწლიურად იმართება ფოლკლორული ფესტივალი „სვანეთობა“.

**2018-2019 წლებში** მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმს 76 ათასი ვიზიტორი სტუმრობდა. იმავე პერიოდში, მესტიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებს 5283 მკითხველი ეწვია.

**2018 წელს,** ადგილობრივი თვითმართველობის მხარდაჭერით, შეიქმნა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბანგურიანი“, რომლის ფორმების შეძენაზე 13 400 ლარი დაიხარჯა.

**2019 წელს, მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის** მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლატალში ჩატარდა კამერული მუსიკის კონცერტები სახელწიფო კამერული ორკესტრის მონაწილეობით.

**2020 წელს,** კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების სახელმწიფო თეატრების საგასტროლო ტურნეები, ადგილობრივი კულტურის დაწესებულებების მიერ ინიცირებული სხვადასხვა პროექტი (სპექტაკლის დადგმა, საზაფხულო სახელოვნებო სკოლების ფუნქციონირება).

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:**


მესტია, ლეო ფილფანის სახელობის ფოლკლორის ცენტრი

**2014-2016 წლებში** – დაბა მესტიაში ხერგიანის სახელობის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (16,5 ათასი ლარი), ფარჯიანების სახლ-მუზეუმის სარეკონსტრუქციო-აღდგენითი სამუშაოების პირველი ეტაპი (64 ათასი ლარი).

**2014-2015 წლებში –** განხორციელდა მესტიაში მდებარე, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რასაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 985,7 ათასი ლარი მოხმარდა.

**2016-2018 წლებში, „**მსოფლიო ბანკის“ დაფინანსებით, მესტიაში აშენდა ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრი, რაზეც 4 მლნ 334,3 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2017 წელს** განხორციელდა მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფ. წვირმში.

**2018 წელს** განხორციელდა: იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ იელში; ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის მინაშენისა და გალავანის აღდგენა დაბა მესტიაში. იმავე წელს: სვანური კოშკები და მაჩუბები რეაბილიტაციას ქ. მესტიაში 600 ათასი ლარი მოხმარდა; განხორციელდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ იელში; ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის მინაშენისა და გალავნის აღდგენა დაბა მესტიაში. ახალი ბიბლიოთეკები გაიხსნა სოფელ ეცერში, ფარსა და ადიშში; განხორციელდა ეჩოსა და ნაკრის თემის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების ინვენტარიზაცია (14 ათასი 500 ლარი).

**2019 წელს:** განხორციელდა დაბა მესტიაში მდებარე მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაცია (850 ათასი ლარი). იმავე წელს დაიწყო და მიმდინარეობს უშგულის თემის სოფელ ჩაჟაშის რეაბილიტაცია (700 ათასი ლარი);

**2014 წელს** დაფუძნდა ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, რომელიც, 2014-2020 წლებში, ახორციელებდა მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე კვლევით და სარესტავრაციო საპროექტო სამუშაოებს.

**მიმდინარეობს** სვანური კოშკებისა და მაჩუბების სრული რეაბილიტაციის პროექტი (600 ათასი ლარი).

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტში არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის:**

**2013 წელი** – სვანური კოშკებისა და მაჩუბების რეაბილიტაცია (185,4 ათასი ლარი), ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიის რეაბილიტაცია (17,6 ათასი ლარი);

**2014 წელი** – სვანური კოშკების რეაბილიტაცია (76 ათასი ლარი); ჩაჟაშის ნაგებობების რეაბილიტაცია (156,8 ათასი ლარი), ზემო სვანეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პირველადი ინვენტარიზაცია (18 ათასი ლარი); საერთაშორისო კონფერენცია „მსოფლიო მემკვიდრეობა და მდგრადი განვითარება“ (23,1 ათასი ლარი);

**2015 წელი** – ადიში, ლიჩანაშის წმ. გიორგის ეკლესიის სახურავის რეაბილიტაცია (15 ათასი ლარი); სვანური კოშკებისა და მაჩუბების რეაბილიტაცია (150 ათასი ლარი); ჩაჟაშის ნაგებობების რეაბილიტაცია – ქვის კედლების აღდგენა, სახურავის შეფიცვრა და ფიქლის სახურავის მოწყობა, ფარული რკინა-ბეტონის მოწყობა, ხის კონსტრუქციების ანტისეპტიკა და ცეცხლდაცვა (527,5 ათასი ლარი); ხერგიანების საგვარეულო კომპლექსის გალავნის სარეაბილიტაციო სამუშაოები (20 ათასი ლარი);

**2016 წელი** – კოშკებისა და მაჩუბების სარეაბილიტაციო სამუშაოები; სართულშუა ხის გადახურვების აღდგენა; ქონგურების აღდგენა; გადახურვის ხის კონსტრუქციების მოწყობა და სხვ. (167,5 ათასი ლარი); კახაბერ გულედანის კოშკის რეაბილიტაცია (9,9 ათასი ლარი); ერეკლე საღლიანის მაჩუბის ნანგრევების გაწმენდითი სამუშაოები (6,9 ათასი ლარი); მერაბ ხერგიანის მაჩუბის რეკონსტრუქციის I ეტაპი (24 ათასი ლარი); სვანური კოშკების რეაბილიტაცია: ეცერში – 1 კოშკი, ხერხვაშში -1 კოშკი, ლუჰაში – 5 კოშკი.

**2017 წელი** – სვანური კოშკების, მაჩუბების და სოფ. წვირმის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები (348,7 ათასი ლარი), ქუბერის (ნენსკრას ხეობა) ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების ინვენტარიზაცია (10 ათასი ლარი); სვანური კოშკების, მაჩუბებისა და სოფ. წვირმის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 9 ობიექტი (სოფ. იფარი, დაბა მესტია – დათო გულბანის კოშკისა და იურა ფალიანის მაჩუბის რეაბილიტაცია, მ. ხერგიანების ეზოს გალავნის, ფარდულისა და მაჩუბის რეაბილიტაცია, მე-2 ეტაპი – სოფ. ზემო ლუპა; გია წულუკიანის კოშკის რეაბილიტაცია – სოფ. ლენჯერი; რობიზონ კახბერიძის მაჩუბის რეაბილიტაცია – სოფ. მულახი; ალექსანდრე გუჯეჯიანის კოშკის აღდგენა – სოფ მულახი-მუქალი; ნ. გიგანის კოშკის რეაბილიტაცია – სოფ. მულახი-ჟაბეში; ქოჩქიანების კოშკის რეაბილიტაცია, წვირმის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის აღდგენა-რესტავრაცია (349 ათასი ლარი), უშგულის თემში მდებარე ჩარკვიანების საგვარეულო კოშკის გაწმენდითი სამუშაოები (25 ათასი ლარი).

**2018 წელი** – სვანური კოშკებისა და მაჩუბების რეაბილიტაცია (განგრძობადი პროექტი) – 600 ათასი ლარი (3 კოშკი, 4 მაჩუბი, 1 ჰაგაამი, 2 ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ლაღამის ეკლესია) – 330 ათასი ლარი; მაჩუბების რეაბილიტაცია (ზემო სვანეთი, დაბა მესტია, ალექსანდრე გვარლიანის მაჩუბის I ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ზემო სვანეთი, დაბა მესტია, რეზო ხოჯელანის მაჩუბის რეკონსტრუქცია) – 116 ათასი ლარი; ნაკრას თემი, სოფ. ცარელი, როდამ გვარმიანის მაჩუბის რეაბილიტაციის I ეტაპის სამუშაოები – 45 ათასი ლარი.

**2019 წელი** – კოშკების და მაჩუბების რეაბილიტაციის სამუშაოები (განგრძობადი პროექტი), ზემო სვანეთი – 9 მაჩუბი, 8 კოშკი, 2 კომპლექსი, 1 ციხე-სახლი, იფრარის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავნის და სამლოცველოს რეაბილიტაცია (მესტია, სოფ. იფრარი – 1 მლნ 377 ათასი ლარი); დაბა მესტია, ლეხთაგი, ვ. სელას ქ. №8-ში მდებარე სვანური სახლის რეაბილიტაცია – 26 ათასი ლარი, იფხის წმ. გიორგის სახელობის

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ეკლესიის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოები – 35 ათასი ლარი; უშგულის თემი სოფ. მურყმელი – გურამ ჩარქსელიანის კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი) -18 ათასი ლარი, მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელ ლახამის ტერიტორიის არქეოლოგია ქუბერის თემში.

ასოციაციამ „ხელოვნება საზოგადოებრივი ინტერესებისათვის", საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით, დაიწყო პროექტის – **„ინკლუზიური განათლება საქართველოს მუზეუმებში"** განხორციელება. განხორციელდა მუზეუმების თანამშრომლების გადამზადება განსაკუთრებული საჭიროების პირებთან სამუშაოდ როგორც თბილისის, ასევე რეგიონ მუზეუმებში, შემუშავდა და განხორციელდა სპეციალური ადაპტირებული პროგრამები.

**2018 წლიდან,** ჩაჟაშის მუზეუმ-ნაკრძალი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში გადავიდა.

**2019 წელს:** დაიწყო და **მიმდინარეობს** უშგულის თემის სოფელ ჩაჟაშის რეაბილიტაცია; მომზადდა ზემო სვანეთში მდებარე სვანური კოშკებისა და მაჩუბების რეაბილიტაციის მომდევნო ეტაპის საპროექტო დოკუმენტაცია; განხორციელდა იფხის წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობის საკონსერვაციო სამუშაოები და მესტიაში, ლეხთაგში, ვ. სელას ქ. №8-ში მდებარე სვანური სახლის რეაბილიტაცია (II ეტაპი); არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა სოფ. ბოგრეშის ტერიტორიაზე.

ქვეყანაში შექმნილი ვითარების მიუხედავად, ჯანდაცვის საყოველთაო რეკომენდაციების გათვალისწინებით, მემკვიდრეობის ძეგლებზე ფიზიკური სამუშაოები გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შეუფერხებლად მიმდინარეობს. გრძელდება მსხვილმასშტაბიანი პროექტები, მათ შორის, სოფ. ჩაჟაშის, მესტია-ზემო სვანეთში მდებარე კოშკებისა და მაჩუბების პროექტები.

**2020 წელს** სამინისტრომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი სამუშაოები განახორციელა: სვანური კოშკებისა და მაჩუბების რეაბილიტაცია, რაზეც 1 მლნ 376,9 ათასი ლარი დაიხარჯა (განგრძობადი პროექტი), ჩარკვიანებისა და მერაბ (მაიზერ) ნიჟარაძის კოშკების რეაბილიტაცია (I ეტაპი), ბესიკ ვიბლიანის ციხე-სახლის რეაბილიტაცია სოფელ ცალერში.

## სპორტი

**მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს:** მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ მესტიის სპორტული ცენტრი და მასში შემავალი მესტიის ლერი ნაკანის სახელობის სპორტული კომპლექსი, იფარის მირზა გელოვანის სახელობის სპორტული კომპლექსი, მულახის ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტული კომპლექსი, ლატალის გურამ თიკანაძის სახელობის სპორტული კომპლექსი და ქუბერის ბორია კახიანის სახელობის სპორტული კომპლექსი.

**2013 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 700 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 207,4 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია:** ძიუდო, ჭიდაობა, სნოუბორდი, მკლავჭიდი, ფრენბურთი, ფეხბურთი, მეკლდეურობა, სამთო სათხილამურო სპორტი, კრივი.

მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიხსნა სპორტული ჯგუფები. სოფელ ქუბერში, ბორის კახიანის სახელობის სპორტულმა დარბაზმა დაიწყო ფუნქციონირება. საფუძველი ჩაეყარა მეკლდეურობის განვითარებას. პირველად მესტიის ისტორიაში, გაიხსნა ალპინისტთა 3 ჯგუფი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სპორტსმენთა **შედეგები** მეკლდეურობაში, ფრენბურთში (2018 წელს ქუბერის ვაჟთა გუნდი სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში გახდა საქართველოს ჩემპიონი და მონაწილეობა მიიღო 2020 წლის მსოფლიო ოლიმპიადაში) სამთო-სათხილამურო სპორტში, სნოუბორდში, ძიუდოში, ქართულ ჭიდაობასა და კრივში. საქართველოს ნაკრებში გაწევრიანდა: ძიუდოსა და სამთო-სათხილამურო სპორტში – 4-4 მოსწავლე, მეკლდეურობაში – 5 მოსწავლე.

მუნიციპალიტეტში არსებულ სპორტის სახეობებს დაემატა საციგაო სპორტი, სადაც ჩაბმული არიან ბავშვები და მოზარდები, ასევე აქტიურად მიმდინარეობს მოზარდების წვრთნა კრივში.

**2015 წლიდან** ყოველწლიურად ტარდება მ. ხერგიანის მემორიალი მეკლდეურობაში, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 6000 ლარი იხარჯება.

**2013-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:**

**2013 წელს** დასრულდა ლატალის სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია, რასაც 222,2 ათასი ლარი მოხმარდა (რეგიონული განვითარების ფონდი).

**2015-2016 წლებში, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით,** განხორციელდა სოფ. მულახის ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტსკოლის (სათემო ცენტრის) სრული რეაბილიტაცია – 2 მლნ 681,5 ათასი ლარი; სოფელ ფარში სპორტული დარბაზის მშენებლობის პირველი ეტაპი (279,5 ათასი ლარი).

**2015-2017 წლებში** განხორციელდა ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტული კომპლექსის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (სპორტული დარბაზის, საცურაო აუზის, სამეურნეო ფანჩატურის, ჩოგბურთის მოედნისა და სხვა შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის, სამზარეულოსა და კაფე–ბარის მოწყობა) – 2 მლნ 681,5 ათასი ლარი.

**2017 წელს** მესტიში დასრულდა ფეხბურთისა და კალათბურთის სპორტული მოედნების მშენებლობა, ასევე მოეწყო მინიფეხბურთის მოედანი (369, 1 ათასი ლარი).

**2018 წელს:** მესტიაში, სეტის მოედანზე, დაიდგა გარე სავარჯიშო მოწყობილობა (8 ათასი ლარი); რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, განხორციელდა ფარის, ლენჯირ ხაიშისა და და ნაკრის სპორტული კომპლექსების მშენებლობა (ჯამური თანხა – 797 ათას 740 ლარი).

**2019 წელს** დასრულდა: ხაიშისა სპორტული მოედნის მოწყობა – 69 ათასი ლარი; ეცერის სპორტული მოედნის მოწყობა – 68,9 ათასი ლარი.

**2020** წელს **დასრულდა** მულახის სპორტდარბაზის მშენებლობა, რასაც 43,6 ათასი ლარი მოხმარდა.

ამჟამად **მიმდინარეობს:** ფარის ტერიტორიულ ერთეულში სპორტდარბაზის მშენებლობის მე-2 ეტაპი – 77, 5 ათასი ლარი; ლენჯერის ტერიტორიულ ერთეულში სპორტდარბაზის სამშენებლო სამუშაოების მე-2 ეტაპი – 225,7 ათასი ლარი; ხაიშის ტერიტორიულ ერთეულში სპორტდარბაზის მშენებლობის მე-2 ეტაპი – 138,8 ათასი ლარი. ნაკრის სპორტკომპლექსის მშენებლობა.

მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებ პირთა სტატუსის მქონე მწვრთნელები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს **მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამით** მუნიციპალიტეტში დასაქმებული **40** მწვრთნელი იღებს ფულად დანამატს.

2017 წელს სამინისტრომ მესტიაში ქუჩის ერთი სავარჯიშო მოწყობილობის მონტაჟი დააფინანსა (14,4 ათასი ლარი).

მესტიაში ზამთრის ორი კურორტია – ჰაწვალი და თეთნულდი. 2018-2020 წლებში, მესტიაში ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ტარდება სამი საერთაშორისო ტურნირი მეკლდეურობაში, ძიუდოსა და კრივში. სამინისტროს ხელშეწყობით, 2018-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე – „სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის".

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, „საქართველოს თასი ლაშქრობაში", „მოხალისეობის განვითარების პროგრამა", მოხალისეობის ფორუმი, ახალგაზრდული საგანმანათლებლო ბანაკი და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, მუხოს თასი.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები: „ბეჩოს კულტურისა და ხელოვნების საიფორმაციო ცენტრი", „კალიგრაფიული სტუდია ქუბერში", „ჩემი ინიციატივა, მე – აქტიური მოქალაქე", „საერთაშორისო საზაფხულო ეკონომიკური სკოლა – სოციალური მეწარმეობა და სოციალური ინიციატივა", „გააცოცხლე წარსული და შექმენი მომავალი", „რიჰო" (20 ათასი ლარი). ახალგაზრდული ცენტრის, „ბეთქილის" საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი ჩამოყალიბება აქტიურ მოქალაქეებად, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, არაფორმალური განათლება, სხვადასხვა სახის ტრენინგ-სემინარების, შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება (სულ პროექტების განხორცილებაზე 112,8 ათასი ლარი დაიხარჯა).

2015 წელს ახალგაზრდული კლუბი „ბეთქილი" მუსიკალური ინსტრუმენტებით აღიჭურვა (5 ათასი ლარი). 2017 წელს ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „მზეკო" (19,3 ათასი ლარი) და გაიხსნა სოციალური საწარმო, რომელიც დევნილ, სოციალურად დაუცველ ქალებსა და მრავალშვილიან დედებს ასაქმებს.

მუნიციპალიტეტში 33 ტურისტული ბილიკი 60-ზე მეტი ტურისტული მარშრუტია შემუშავებული.

2020 წელს ჩატარდა მესტიაში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების კვლევა, გადამზადდა მესტიის მერიის ახალგაზრდულ სამსახურში მომუშავე 2 თანამშრომელი; იმავე წელს, სტრასბურგში, საერთაშორისო სემინარზე გაემგზავრა მესტიის ახალგაზრდული სამსახურის 1 და მესტიაში მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი; ახალგაზრდული მუშაკების გადამზადების სერტიფიცირების პროგრამაში ჩაერთო მესტიის პროფესიული სასწავლებელი „თეთნულდი" და გადამზადდა 2 ახალგაზრდული მუშაკი. 2020 წლის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში იყო მესტიის ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი, საგრანტო პროგრამის ფარგლებში 1 ახალგაზრდული ორგანიზაცია (სოფელ ფარში) 57,6 ათასი ლარით დაფინანსდა; საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დასაქმდა 4 ახალგაზრდა, ახალგაზრდული გრძელვადიანი სერვისი კი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 150 ახალგაზრდას მიეწოდა. ახალგაზრდები (3 პირი) გადამზადდნენ სხვადასხვა ახალგაზრდული პროგრამებით, მათგან ერთმა კი ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით დაიწყო გადამზადება.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით, მესტიის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- განხორციელდება მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე კულტურული მემკვიდრეობაზე მონაცემთა ბაზის შეგროვება და კვლევა; სვანური კოშკებისა და მაჩუბების სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები, მათ შორის: 2022-2025 წლებში, ზემო სვანეთში მდებარე კოშკებისა და მაჩუბების რეაბილიტაციაზე 12 მლნ ლარი დაიხარჯება;
- მიმდინრე წლის ბოლოსთვის დასრულდება მესტიის მუნიციპალიტეტის უშგულის თემის სოფელ ჩაჟაშის რეაბილიტაცია;
- განხორციელდება დაბა მესტიის ლაღამის უბანსა და უშგულის თემის სოფლებში არსებული სვანური კოშკების რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული დარბაზების მშენებლობა ხაიშში (156,1 ათასი ლარი), ნაკრაში (216,4 ათასი ლარ), ფარში (152,1 ათასი ლარი), ლენჯერში არსებული შენობის დემონტაჟი და სპორტული დარბაზის მშენებლობის პირველი ეტაპი (170,1 ათასი ლარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ქვირფასებო!

მმართველმა პარტიამ – „ქართულმა ოცნებამ“ მესტიის მერობის კანდიდატად დამასახელა, რითაც კიდევ ერთხელ გამომიცხადა ნდობა, იმავდროულად კი, დიდი პასუხისმგებლობა დამაკისრა. მადლობას გადავუხდი ჩემს პოლიტიკურ გუნდს, რადგან საშუალება მეძლევა, განვაგრძო ზრუნვა მშობლიურ კუთხეზე. განსაკუთრებით მადლიერი ვარ თქვენი, ჩემი მესტიელების – უკვე წლებია ერთგულად მიდგახართ გვერდით და ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეო თითოეულ წამოწყებაში აქტიურად მიჭერთ მხარს. დამეთანხმებით, მესტიაში ბევრი რამ კეთდება. ეტაპობრივად ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები და ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება. მუნიციპალიტეტისთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სამთო-სათხილამურო ტურიზმს. ამდენად, სათანადო ინფრასტრუქტურა გააუმჯობესებს სპორტისა და დასვენებისთვის აუცილებელ პირობებს, შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, რაც, საბოლოოდ, პირდაპირ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსურ კეთილდღეობაზე.

საქართველოში მოქმედებს მთის კანონი, რომელიც მნიშვნელოვან შეღავათებს სთავაზობს მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებთ. გრძელდება სახელმწიფო პროგრამები, მათ შორის ჯანდაცვის, სოციალური მხარდაჭერის, სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით. ჩვენ თითოეული ამ პროგრამით მაქსიმალურად უნდა ვისარგებლოთ.

მესტიაში დავიბადე, გავიზარდე და კარგად ვიცი თითოეული თქვენგანის, ჩვენი მუნიციპალიტეტის საჭიროებები. გპირდებით, კვლავ ყურადღებით მოვისმენთ თითოეული მკვიდრის წინადადებას და მომავალ პროექტებს ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო ჩართულობით დავგეგმავთ. თქვენი მხარდაჭერა საშუალებას მომცემს, ერთად ვიზრუნოთ, რომ მესტიაში ცხოვრება უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდეს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ჩვენს მხარეში, დამეთანხმება – სვანეთი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, ხოლო აქ დაცული საგანძური, ტრადიციები და გარემო დაუვიწყარ კულტურულ შოკს იწვევს. ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია, რომ ერთიანი ძალისხმევით, მეტად გავაძლიეროთ ჩვენი კუთხე, განვითარებული ინფრასტრუქტურით, უნიკალური ტრადიციებითა და მიმზიდველი გარემოთი კი დაუვიწყარ ადგილად ვაქციოთ მესტია. ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.